№ 240 ნოემბერი 10, პარასკევი 1889 ნოემბერი 10, პარასკევი № 240



**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური



# ივერია



გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიასა თავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889





## სასწავლებელი და პანსიონი

### ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—14)



„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წევრთა

**წლიური კრება**

დანიშნული 5 ნოემბრისთვის ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი წევრთა არ შეიკრიბა. ამის გამო, საზოგადოების წესდების მე-15 § ძალით,

**ხელ-მეორედ კრება**

დანიშნულია 12 ნოემბრისათვის, კვირას, დილის 10 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

---

გამგე კომიტეტი კავკასიის გამოფენისა სთხოვს ბ-ნთ გამოფენის ექსპონენტებს, რომელთაც უნდათ დაესწრნენ იმ დღეს, როცა გამოცხადდება ვის რა ჯილდო მიესაჯა, განუცხადონ თავისი სურვილი არა უგვიანეს 10 ნოემბრისა გამოფენის ბიუროს (ალექსანდრეს ბაღი, ბარიათინსკის ქუჩა) დილის 10 საათიდამ 12-მდე და საღამოთი 4—6 მდე.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ სარწმუნო წყაროდგან, რომ დრეზდენის წიგნების მბეჭდველს ფირმას პირსონისას განუზრახავს დაბეჭდოს გერმანული თარგმანი „ვეფხის-ტყაოსნისა". როგორც მოგეხსენებათ, „ვეფხის-ტყაოსანი" გადასთარგმნა გერმანულად ბ ნმა არტურ ლეისტმა, რომელიც ამ ჟამად გერმანიაში იმყოფება. პირსონს უნდა, რომ ბეჭდვა წიგნისა მოასწროს შობა-ახალ-წლამდის.

*** ჩვენს დრამატიულს დასს ამ წელიწადს კარგი მოსავალი დაუდგა: ამას წინად ჩვენ გამოცხადებული გვქონდა, რომ ერთს ყმაწვილ კაცს დრამა „რუსთაველი" დაუწერიაო. ამას წინადვე იყო დაბეჭდილი, რომ ბ-ნს ბენაშვილს დაუწერიაო დრამა „თელაველი ოტელლო". იმასვე, როგორც შევიტყეთ, აქვს თურმე მეორე დრამა—„დროთა ბრუნვა", რომელსაც ამ დღეებში წარმოადგენს ქართული დასი. ამას გარდა ჩვენს ნიჭიერს დრამატურგს ა. სუმბათაშვილსაც განუზრახავს საქართველოს ისტორიიდგან პიესის დაწერა.

*** ბევრს ლაპარაკობენ იმის თაობაზე, რომ ჩვენი ტფილისის თვით-მმართველობა ყელამდე ვალშია ჩაფლულიო, მაგრამ ნამდვილი ვითარება საქმისა-კი სრულებით არ არის ისე წყალ-წაღებული, როგორცა ჰფიქრობენ. მართალია, ქალაქს ვალი აქვს, მაგრამ პირველი ესა, რომ ამ ვალით საჭირო საქმეებს ისტუმრებს ჩვენი თვით-მმართველობა, და მეორეც ისა, რომ უმეტესი ნაწილი თვით ამ საქმეებისა შემოსავლის წყაროდ გადიქცა ქალაქის კასისათვის, როგორც მილის წყალი, ხიდები და სხვანი. გარდა ამისა, ქალაქის უძრავი და მოძრავი საცხოვრებელი აღემატება ვალს. როგორც ანგარიშიდგან სჩანს, ქალაქის უძრავი და მოძრავი საცხოვრებელი, მაგალითად, კუკიისა, ავლაბრისა და ნავთლუღის მამულები და მინდვრები, ქალაქის სახლები, დუქნები, მილის-წყალი, ხიდები, მომგებიანი და საკრედიტო ქაღალდები და სხვანი სულ ფულად იქნება 2.238,268 მანათისა და 92 კაპეიკისა. თვით-მმართველობას აქვს ვალი 1.803,632 მანათი და 88 კაპეიკი. ამ სახით, ქალაქის ქონება აღემატება ვალს 436,636 მანათითა და 4 კაპ.

*** ტფილისის მალაკნები ერთობ გამრჯელი ხალხია და იმდენად შეძლებულნიც არიან, რომ არ გაუჭირდებოდათ თავიანთის შვილების გამოზრდა სკოლებში, მაგრამ, საუბედუროდ, აქამდე უთაობის გამო პირველ დაწყებითი სკოლაც არა ჰქონდათ მალაკნებს, მაგალითად, ისეთს ადგილას, როგორიც არის ეგრედ წოდებული მალაკნის სოფელი, კუკიაში, ავჭალის ქუჩასთან. ვისაც დიდი შეძლება ჰქონდა, ისინი აძლევდნენ შვილებს კერძო სასწავლებლებში და ამზადებინებდნენ, მაგრამ უმრავლესი ნაწილი მოზარდის თაობისა უსწავლელი რჩებოდა. ამ შემოდგომაზე-კი მოთავე კაცები მხურვალედ შეუდგნენ ამ საქმეს და, შემდეგ დიდის მეცადინეობისა, გააბედვინეს ხალხს საკუთარის სახალხო სკოლის გამართვა. ეხლა უკვე მიართვეს თხოვნა სკოლის გამართვის შესახებ. ხელის-მოწერით ერთს დღეს მოაგროვეს 500 მანათი ფული, რომლითაც შეიძინეს საჭირო ნივთები სკოლისა. მასწავლებელიც უკვე მოიწვიეს. ჯამაგირი მასწავლებლისა უნდა შესდგეს თვიურ გადასახადისაგან ყმაწვილზე თითო მანათისა, მხოლოდ ძალიან ღარიბები მუქთად ისწავლიან. მსურველთა რიცხვი ამ დაწყებაშივე თითქმის სამოცამდე იქნება.

*** შარშანდელივით ადრე ესტუმრა ჩვენს ქვეყანას წელსაც ზამთარი. ხონში მოშავებდებულია ცა და თავპირი ჩამოსტირის, ფოთში სუსხიანი ქარი ჰქრის და ცივი წვიმა მოდის, ლეჩხუმში დაუთესავ-დაუფარცხველნი დავრჩითო, გუდამაყრის მთებში ყინვებია და თოვლსო, ყარსისკენ ყინვა 24—25°. ტფილისსაც-კი, რომლის შემოდგომა ხშირად ისე სასიამოვნო და სანატრელია, რომ ქუჩებს მტვერი ასდით ხოლმე დეკემბრამდე, წელს კაცი ვეღარ იცნობს, ისე ჰინჰყლიანობს ამინდი, თითქო ჰრელი და მიზეზიანი მარტი იყოსო. ხან ჯანღი და ბურუსია, ხან ორსამ-დღეობით გადაუღებელი წვიმა და ქუჩებში აუარებელი ტალახი, ხან ქარი და ისეთი ყინვა, რომ უქურქოდ კარში ვეღარ გამოსულა კაცი. ორ-სამს დღეს ისეთი ამინდი იდგა ტფილისში, ისეთი ძანძახი და ლელეხი იყო, რომ ძაღლი არ გამოიგდებოდა. ტფილელთაც ეს უნდოდათ: ჩაიკეტნენ სახლში და თბებოდნენ. ან-კი სად წასულიყვნენ, კარგი დარებიც რომ ყოფილიყო, თუნდ ცხრა-თვალი მზეც რომ მდგარიყო. გამოფენა აღარსად არის, ბალი აღარსად არის, ერთი და მეორე. კონცერტების სეზონი ჯერ შორს გახლავთ, ბალების სეზონიც ჯერ არ დაწყებულა. სომხური თეატრი არ გახლავთ, ქართული თუმცა გვაკრუხია, მაგრამ ჩვენი საზოგადოება არა სწყალობს. დარჩა ოპერეტკა და ოპერა, მაგრამ იქ სულ მღერიან და ყოველთვის და მუდამ ვის ემღერება?!

*** „მეურნეს" რედაქცია ერთს ფრიად სასარგებლო გზას დაადგა: ჰბეჭდავს პატარ-პატარა წიგნებად იმ წერილებს, რომელსაც უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნის მხვნელ-მთესველ სოფლელთათვის, და ჰყიდის საკმაოდ იაფად. რედაქციამ, თუ არა ვსცდებით, უკვე სამი ამისთანა პატარა წიგნი დაბეჭდა:

## ფელეტონი

### ზღაპარი

**ბადრისა, უსიპისა და ამირანისა,**

**ანუ**

**ხალხში დაშთენილი ამირან-დარეჯანიანი.**

### I

გიამბობთ ამირნისასა,
თუ ზღაპრად მოგეწონებათ...
ბადრის, უსიპის ამბავი
მალი-მალ მოგეგონებათ.
(ხალხში დაშთენილი მთქმელი)

იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა:

იყო შაშვი მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

იყო ერთი კაცი, სახელად სულკალმახი. სულკალმახს სამი ვაჟი ჰყვანდა, უფროსი ბადრი, შუათანა უსიპი და უმცროსი ამირანი. ამირანი ქრისტე ღმერთის ნათლული იყო. სულკალმახის ცოლს, დარეჯანს, ამირანი სულ ბოლოს დროს, სიბერეში, ეყოლა. დარეჯანს ძალიან უყვარდა თავისი უმცროსი ვაჟი ამირანი და ამიტომ ამირანს დარეჯანის საკუთარს ძეს ეძახდნენ. სულკალმახი მოხუცებული იყო და ეშინოდა, მე რომ მოვკვდე, ამირანს აღარავინ გაზრდისო. ამირანი უნდოდათ მდიდრის კაცისათვის მოენათლინებინათ, რომ სულკალმახის სიკვდილს შემდეგ ამირანი ნათლიას წაეყვანა და გამოეზარდნა. დაიპატიჟეს კიდეც ნათლიად მდიდარი კაცი, მაგრამ ნათლობის დროს სულკალმახის სახლში გლახად ჩაცმული ქრისტე ღმერთი მივიდა და სთხოვა სულკალმახს, შენი შვილი მე უნდა მომანათვლინოვო. სულკალმახმაც უარი ვეღარ უთხრა და მოანათვლინა შვილი. ქრისტე ღმერთმა ამირანს დაანათლა: გაქანებულის ხის სიჩქარე და სიმარდე გაქანებულის ზვავისა და თორმეტულელა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბოლოობით სისაწყლე და სიბეჩავე ვაჟკაცობაში—ომი და ჭირსახდიელი. მართლაც დიდხანს არ გაუვლია, რომ სულკალმახი მოკვდა. იმის მტერს დევებს დრო მიეცათ ჯავრის ამოყრისა, დაეცნენ ობლების სახლ-კარს და სულ ცეცხლის ალი აადინეს, ააოხრეს და დააბუნდოვეს. ძმები, დევების დაშინებულები, სულ გადიკარგნენ, გასწირეს თავისი ქვეყანა.

ბადრი, უსიპი, ამირან
ობლები მოვიზარდენით;
დევების დაშინებულნი
ნასახლარს ნავაყარნით.

მოკვდა დარეჯანიც. შვილებს დაიბარა: „შვილებო, დევებს მოერიდენითო". მაგრამ გზაზე ქვას ვინ აარიდებდა მუდამ ფეხს. ბევრი ბეჩაობა გამოიარეს ძმებმა, სულ ცის ქვეშ ალამებდნენ და ათენებდნენ, კერა-ნაცარი ენატრებოდათ:

ბადრი, უსიპი, ამირან
ობლები მოვიყარენით;
ღმერთს არ გვინახავ, კერაი,
სახლეს მოვიზარდენით;
ვინაც კარგ გვიყვა ობოლთა,
მუშაში დავეტანენით;
ვინაც ავ გვიყვა ობოლთა,
იმას შინ შავეტანენით.
დედამ დარეჯანმ გვაბარა:
„დევებს ნუ შეეყრებითო,
„თუ შეეყარნეთ დევებსა,
„ადვილ ნუ გაეყრებითო!"
სამნი ჩვენ სამას დევები
ჩაბალხეთს შავეყარენით,
თავს მოვხვდით ბალხის კარავსა,
ბოლოში გავეყარენით;
ომისა კერა გავიგეთ,
ფარის ქვეშ მოვიმალენით.
დავსხედით ლვინის სმაზედა,
ზოგნ დევნიც დავიტანენით.
ვინაც სხვა ღვინო ჩვენთანა,
ძმებურად გავიყარენით;
ვინაც არა სხვა ღვინოო,
დავყარით, არ გავყარენით.
დევებ ხო არა ყოფილან,
სუ ხმალს ქვეშ მოვატარენით.

გაეიდა ხანი, გაიზარდა ამირანიც; ისეთი ღონიერი გახდა, რომ მიწას უმძიმდა იმისი ტარება. უსიპი და ბადრი მშვენიერები იყვნენ.

ცოტა კაცია ამირან,
ცოტა სმა-ჭამა ეყოფა;
სადილად ბუღა კამეჩი,
ვახშმად არც სამი ეყოფა...
ბადრი ქალსა ჰგავ ლამაზსა,
საქმროდ გამზადებულსა;
უსიპი—ბროლის ციხესა
თავ-ბოლოთ გამაგრებულსა;
ამირან—შავსა ღრუბელსა,
საავდროდ დამზადებულსა.

ერთხელ ამირანი და იმის ძმები სანადიროდ იყვნენ; ცხრა მთაზე ინადირეს, ვერაფერი მოკლეს; ცოცხალს სულს არ შეხვედრიან; გადავიდნენ მეათე მთაზედ და გაინადირეს. უცებ ერთი უზარმაზარის ტანისა და უზარმაზარ-რქიანი ხარი ირემი გამოუხტათ. გაიწყო ირემმა რქები ზურგზედ და ჰერი! ესროლა ამირანმა და დასჭრა.

სანადიროდ წამოვიდნენ
ამირან და ძმანი მისნი;
გადიარეს ცხრანი მთანი,
შეათენი ალგეთისნი.
მინდორს კვალი მაჰყვნდეს,
დანაჭრილი ემძაგისი.
მთას ირემი წამოუხტათ,
ოქრო იყო რქანი მისნი.
უცხოს მთაზე კოშკი ნახეს,
ანაგები ბროლის ქვისი;
მაუარეს გარემოგარს,
ვერ იპოვნეს კარი მისი...
სადაც რო მზემ პირი მოჰკრა,
ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გააღო,
იქ შეება კარი მისი.
კოშკში ლომი წოლილიყო,
მამრეკ არვინ იყო მისი.
იმას თავით რაში ება,
ტოტით მიწას სთხრიდა ისი;
მარცხნივ რო შუბი ეუდა,
წვერი ცასა ჰხვევდა მისი;
მარჯვნივ ედო თავის ხმალი,
პირი ჰქონდა ალმასისი;
ერთს კუთხეში ოქრო-ვერცხლი,
ნაგროვები ცამცუმისა.
გვერდით ეჯდა თავის დედა,
ცრემლად დასტიროდა შვილსა,
თავით ერთი ქალი ეჯდა,
ზღვას ერევა ცრემლი მისა.
თითებსა და თითებს შუა
წიგნი ჰქონდა ქაღალდისა.
წაიკითხეს, შიგ ეწერა:
ძმისწული ვარ უსიპისა,
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
არ შევჭამე ჯავრი სხვისა;

„ვაზის ობი“, „ხეხილის მოვლა“ და „ბამბა და მისი შემუშავება“. ეს უკანასკნელი წიგნაკი ეს არის ეხლა მოგვივიდა „მეურნეს“ რედაქციის მიერ. ფასი ამ წიგნისა, რომელშიაც სულ ათი ფურცელია, სამი შაური არის.

*** **ხაშური:** აქ გაჩენილმა ცეცხლმა, რომლის შესახებაც გწერდით ამას წინად, დიდი ზარალი მისცა ხაშურს. ამბობენ, რომ მხოლოდ ის შენობანი ყოფილა დაზღვეული, რომელსაც ცეცხლი ვერ მისწვდა და გადარჩა განადგურებისაგანაო. გადამწვარ დუქნებ შორის მოხსენებული იყო დუქნები თევდორაძისაცა, მაგრამ ის დუქნები თევდორაძის საკუთრებაკი არ იყო, არამედ სხვებისა, სახელდობრ ხოჯავასი და ციკორიძისა, რომელთაც იჯარით ჰქონდათ მიცემული თევდორაძის ადგილი და ამისათვის გადაჰრილს ქირას იხდიდნენ. ყველა დარწმუნებულია, რომ თუ პოლიცია ეცადა და მიჰყვა კვალს, ადვილად აღმოაჩენს დამნაშავეს, რომელმაც წაუკიდა ცეცხლი სახლებსა და დუქნებსაო.

*** **თელავი:** ქურდობა იყო და განელდა, რადგან ორიოდე ხელ-მრუდე და ავ სული საპატიმროში ჩააბძანეს. ახლა-კი კვლავ იჩინა თავი. 27 ღვინობისთვეს ერთს აქაურს მცხოვრებელს მოჰპარეს ქურდებმა რამდენიმე ტომარა ხორბალი. დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ.

*** **ხონი:** დადგა გიორგობისთვის წვიმიანი, პირ-მოტირალი ტაროსები და ატალახდა ჩვენი ქუჩები. სიმართლე რომ სთქვას კაცმა, ჩვენ ამაზედ უარესსაცა ვართ ჩვეულნი ქუჩების შესახებ, მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაურმა პოლიციამ ცოტა არ იყოს ყურადღება მიაქცია ხონის ტალახიანობას და გვარიანად შეალამაზებინა ერთობ ოღრო-ჩოღრო და მეტად ბინძური ქუჩები. აი ამიტომ გვიკვირს, რომ სწორედ ის ქუჩა, რომელსაც შეიძლება დავარქვათ პოლიციის ქუჩა, რადგან დღეს მის პირად სცხოვრობენ აქაური პოლიციის ბოქაულნი და ამავე ქუჩაზედ სცხოვრობდა უწინდელი ბოქაულიც, სწორედ ეს ქუჩა იმდენად ტალახიანია, რომ თუ ჯოჯოხეთშიაც შარა გზებია, უსათუოდ ასეთი ქუჩები იქნება, უარესს თვით ბელზებელთ მთავარიც ვერ მოიგონებს. მოგონებაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ აქაურებმა ერთობ საქებური საქმე მოიგონეს და „ხონის მინდორი“ ბაღად, ანუ, როგორც ქუთაისში არიან ჩვეულნი, ბულვარად აქციეს. ჯერ ეს მინდორი მხოლოდ შეაკავეს, შემოჰღობეს, მაგრამ ახლაც თვალს ასიამოვნებს მისი ნახვა, რაღა იქნება მაშინ, როცა ხეებით და ვარდ-ბუჩქნარებით დამშვენდება? სამოთხე მაშინ ხონის ბაღი იქნება და ბეწვის ხიდი კიდევ ის ქუჩა, რომლის ამბავიც ზემოდ მოგახსენეთ. ღირსნი ამ ქუჩას ისე გადმოივლიან, რომ ფრჩხილსაც არ გაისვრიან, უღირსნი-კი ყელამდე ჩაეფლვიან უფსკრულს შინა და იქვე უკუნისამდე ჩარჩებიან. თუ იგულისხმებთ, რომ ჩვენი ცოდვილი ხონი, სულ თუ არა, უმრავლესად მაინც უღირსებით არის სავსე, ადვილად მიხვდებით რა ჯოჯოხეთური ქვითინ-ხივილი იქნება დღეს აქაურ „პოლიციის ქუჩაზედ“.

## წვრილი ამბები

იმის გამო, რომ გერმანიის იმპერატორმა ოსმალეთის სულთანის ჰარამხანა ჰნახა, პარიჟის გაზეთ „Journal des Dedats“-ში დაბეჭდილია შენიშვნა ინგლისელ მწერლის მ. გ. ვიქტორისა, რომელიც თავისს წერილში მაჰმადიან დედაკაცის სოციალურს მდგომარეობას შეეხება. ავტორს წერილისას განუზრახავს უარ-ჰყოს ცრუდ გავრცელებული ხმები ჰარამხანის შესახებ. ფრიად სასაცილოაო, ამბობს ვიქტორი: როცა ჰხედავ, რომ ევროპიელი ქალი ზიზღით და შებრალებით უცქერის აღმოსავლეთში მცხოვრებ ქალებს. საზოგადოდ ჩვენში აღმოსავლეთის ჰარამხანა მეტად შეცდომითა აქვთ წარმოდგენილი. ეს წარმოდგენა შეცდომით სავსეა იმის გამო, რომ სხვა-და-სხვა მოგზაურების გავრცელებულია, იმ მოგზაურებისა, რომელთაც შემთხვევით უნახავთ ჰარამხანა ერთის თვალის მოკვრით და ამიტომ თითონაც არა აქვთ კარგად შესწავლილი. შეცდომით ჰგონიათ ჩვენებს აგრეთვე ისიც, ვითომ აღმოსავლეთში ისეთი სარწმუნოებრივი და სამოქალაქო კანონი ჰსუფევს, რომლითაც ვალად სდებს დედაკაცს პირი აიბუროს, როცა ქუჩაში გამოდისო. აღმოსავლეთის ქალები საბურველს იკეთებენ პირზედ იმავე საფუძველით, რა საფუძვლითაც ევროპიელი ქალი ქუჩაში უშლიაპოდ და უხელთათმანებოდ თავს ვერ გამოჰყოფს ხოლმე. ამას გარდა ქაირისა, თეირანისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების ქალებს სირცხვილად მიაჩნიათ თავისის სახის ყველასათვის ჩვენება. თავისის ჩადრით მობურული აღმოსავლეთელი ქალი დამოუკიდებლად ჰგრძნობს თავს, ყველგან შეუძლიან წასვლა და არც იმისი ეშინიან, რომ ვაითუ მიცნოს ვინმეო. აღმოსავლეთის ზნეთა და ჩვეულებათა შესაგნებლად ადამიანმა სახეში უნდა იქონიოს აგრეთვე განსაკუთრებულობა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა. ქორწინება იქ იმდენად წმინდად ითვლება, რომ ჰარამხანაში ძალათი შევარდნა თვით უუმძიმესს დანაშაულს უდრის. კაცის მკვლელმა რომ მოასწროს და რომელსამე ჰარამხანას შეაფაროს თავი, მდევრად დადევნებული პოლიციელები უკან გაყოლას ველარ შეჰბედავენ და ჩამოუცდებიან. ქმრიანს ქალს აღმოსავლეთში უოკველთვის შეუძლიან ქმარს გაეყაროს და სამის თვის შემდეგ მეორე შეირთოს. იქაურს ქალს სულაც არ ემძიმება თავისს ქმრის სხვა სამ, ან ოთხ ცოლთან ცხოვრება, იმ დედაკაცებთან, რომელთაც ისევე ეკუთვნით იმის ქმრის სიყვარული, როგორც თითონ იმას. უმეტესს შემთხვევაში ჰარამხანაში მცხოვრებელი ქალები ერთმანეთს უმეგობრდებიან. აქვე საჭიროდ ვსთვლით შევნიშნოთ, რომ თუმცა მრავალ-ცოლობა კანონის მიერ აღკრძალული არ არის, მაინც იშვიათია, რომ მაჰმადიანს ბევრი ცოლი ჰყავდეს, რადგან ჰარამხანის შენახვა და გამღოლა მეტად დიდს ქონება-შეძლებასა თხოულობს.

— ვიღაც უსაქმურს სტატისტიკოსს გამოუანგარიშნია ლონდონში, რომ შექსპირს 18 წლისას შეურთავს ცოლი, დანტეს, ფრანკლინს და ბულვერს — 29 წლისას, კეპლერსა, მოცარტსა, ბურნსა და ვალტერ-სკოტს — 26 წლისას, ტიხო დე-ბრაგეს, ვაშინგტონსა, ნაპოლეონ I-სა და ლორდ ბაირონს — 27 წლისას, როსსინის — პირველად 30 წლ. და მეორედ — 54 წლისას, შილლერსა და კარლ-მარია ფონ-ვებერს — 31 წლისას, ჰოგარდსა, პელსა და ვილანდს — 32 წლისას, ვორდსვორტსა და დე-ლავის — 24 წლისას, არისტოფანს — 36 წ., ველლინგტონს — 37 წ., ტალმას — 39 წ., მარტინ ლიუტერს — 42 წ., იუნგს — 47 წ., სვიფტს — 49 წ., ბიუფონს 55 წ. და, დასასრულ, გეტეს — 57 წლისას.

## დეპეშა

8 ნოემბერი

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში ფლოკემ დაიჭირა ადგილი თავმჯდომარისა, წარმოსთქვა სიტყვა და დაჰპირდა პალატას, რომ სამართლიანად და მიუკერძოებლად ავასრულებ ჩემს მოვალეობასა, ყველა დასის წარმომადგენელს მივცემ თავისუფლებას ლაპარაკისასაო. შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა ტირარმა წაიკითხა მთავრობის წერილი. ამ წერილში ნათქვამია: საფრანგეთის ერს ჰსურს, რომ მისნი წარმომადგენელნი თანხმობით მოქმედებდნენ და იხვწოდნენ სადემოკრატო წეს-წყობილების განსამტკიცებლადაო. იმავე წერილში ნათქვამია, რომ საფრანგეთს სწყურიან მშვიდობიანობა, მაგრამ ისეთი მშვიდობიანობა-კი, რომელიც შეშვენის და შეეფერება დიდს ერსაო. რადიკალმა მონჟარმა წინადადება მისცა პალატას, რომ კონსტიტუცია გადაისინჯოს და ეს წინადადება დაუყოვნებლივ იქმნას განხილულიო, მაგრამ პალატამ დიდის ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ეს აზრი.

**პეტერბურგი.** გუშინ იდღესასწაულეს ხუთასის წლის არსებობა რუსეთის არტილერიისა. პეტრე-პავლეს ციხეში შეიკრიბნენ უმაღლესნი სევე-წულნი და გენერლობა. 11 საათზედ მობრძანდნენ მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა. ხელმწიფემ სალამი მისცა ჯარს და გაემართა დარბაზისაკენ, რომელიც მორთული იყო საარტელერიო ნივთებით. მოწყობილობა წარმოადგენდა სხვა-და-სხვა ხანას არტილერიის წარმატებისას. პარაკლისი გარდახდილ იქმნა იმ წმ. ნიკოლოოზის ხატის წინაშე, რომელიც უჩუქებია იმპერატორს პეტრე I-ის ბომბარდირის როტისათვის. წარმოთქმულ იქმნა მრავალ-ჟამიერ მათ იმპერატორებით უდიდებულებათათვის, მემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძისა და სრულიად სევე-სახლისათვის. ზარბაზნები 101 გაისროლეს. იგალობეს «საუკუნოდ იყოს ხსენებაო»-ო დიმიტრი დონელისა და დახოცილ არტილერიის მოღვაწეთათვის. პარაკლისის შემდეგ გენერალ ფელდცეიხმეისტერმა სთხოვა მათ უდიდებულესობას მიეღო სახსოვრად რუსეთის არტილერიის 500 წლის არსებობისა ოქროს მენდალი, ამ დღისათვის მოჭრილი, ამ დღისათვისვე დაბეჭდილი თხზულებანი და ნიმუშები ზარბაზნებისა, რომელიც-კი ყოფილა უმთავრესად ხმარებაში არტილერიის დაარსებიდამ დღემდე. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ გამოაცხადა უმაღლესი წყალობა არტილერიის მიმართ. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა გადაუხადა არტილერიის მოღვაწეთა. შემდეგ საარტელერიო მუზეუმის გამგემ წაიკითხა მოკლე სიტყვა რუსეთის არტილერიის შესახებ. არტილერიის ტაძრის მგალობელთა ხორომ იგალობა საგალობელი, იმ დღისთვის შეთხზული შტაბს კაპიტანის ვეიცმანის-მიერ. მათ უდიდებულესობათ ინახულეს მუზეი და მუზეის დავთარში წასწერეს თვისი სახელი.

**ლონდონი.** დიდ ლუდხანას პატრონმა დუბლინში სერ ედუარდ გინეიმ შესწირა 250,000 გირვანქა სტერლინგი მუშებისათვის სადგურების ასაშენებლად. ამ ფულიდამ 200,000 ლონდონში უნდა დაიხარჯოს სადგურებისათვის და 50,000 დუბლინში.

**ბერლინი.** ემინ-ფაშას სასანთავისუფლებლად დაწესებულმა კომისიამ დღეს მიიღო დეპეშები, რომ კაპლამმა მიიღო წერილები პეტერსისათვის გარდასაცემადაო. ეს წერილები 25 ოქტომბრის თარიღისანი იყვნეო; იმ დროს ექსპედიცია პეტერსისა იმყოფებოდა კორკოროში და ექსპედიციის ყველა მონაწილენი კარგად იყვნენო. რაკი ასეთი ამბები მოვიდა, საიმისოდ შესაწყნარებელი აღარ არის ის ხმა, რომელიც გავრცელებული იყო დღემდე, რომ ვითომ ექსპედიცია სულ ამოჰხოცესო.

---

მოკვდდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა,
ერთის დევის, ბაყბაყისა.
ვინაც მოჰკლავს ბაყალყანსა,
ჩემი შუბი ალალ მისა;
ვინც მახსრობლად მამივა,
ჩემი ხმალიც ალალ მისა;
ვინც დედ-მამას დამიმარხავს,
ჩემი ფული ალალ მისა.
ვინაც რომ დებს გამითხოვებს,
ოქრო-ვერცხლი ალალ მისა;
ვინც მე მამივლის, დამმარხავს,
ცოლიც, რაშიც ალალ მისა!

ამირანმა უთხრა ძმებს, წიგნი რომ წაიკითხა: „ხომ მოვკლავთ და მოვკლავთ იმ ბაყბაყ დევს და ბარემ ეს სარჩოც წავიღოთ და ეს ქალი და რაშიც წავიყვანოთო. მაინც ხომ ანდერძიც ესეაო“. ძმებმა დაუშალეს, სირცხვილია, ვინ რას იტყვისო:

ნუ ამირან, ძმათა მზესა,
ნურა გინდა ნურავისა,
გამოდი და გამოხურე
საფლავი და კარი მისა,
თორემ გმირნი დაგვმრახავენ,
მკვდარი გაუცარცვავ სხვისა!

მკვდარს მოუარეს, დამარხეს, გამოხურეს კოშკის კარი და წავიდნენ ბაყბაყ დევის საძებნელად. ამირანს ომი სწყუროდა. დიდი ხანი იყო გასული, რაც თავი არ ეცადა. უნდოდა ომის გადახდა. მართლაც გზაზედ ბაყბაყ-დევი შემოჰხვდათ, გაეგო ცამცუში მომკვდარაო და მოდიოდა საჭმელად. ამირანმა შეუტია დევს: „სად მიდიხარ, შე აყროლებულო, საითკე მიეჩქარები?!“ — უსიპის ძმისწული, ცამცუმი, მომკვდარა და იმის მძოვრის საჭმელად მივალო, უპასუხა დევმა.

ამირან, დევი ბაყბაყი
ჩასაუბრობენ მტრულადა;
ხმალზე ხელი აქვს ამირანს,
ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ქრისტიანს კაცს არავის შეგაჭმევსო, უთხრა ამირანმა: ტყუილად მიხვალ და მიეხეტები.

— მაშ შენ დამიჭერ გზასაო! უპასუხა ბაყალყანმა დაცინვით. ეძგერა კიდეც ამირანი და დაიწყეს ცხარე ომი. დასძლია ამირანმა, დასცა, მოსტეხა მხარი და დააზიანა.

დევი-დ ამირან იბრძოდნენ,
მიწა და მყარი ხვიოდა;
იმათ ნაომარ ადგილზედ
სუ ქვა და ლოდი ცვიოდა
ამირანის ძმამა სთქვა:
დევი-დ ამირან შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი;
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი შესვდა ქვიანი;
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწყებინა დრიალი.

დევი შეშინდა, ლრიალი დაიწყო, ამირანს აფიცა ხმლიანი ხელი, დედის მანდილი, ოქროიანი თაკლაი, და შეევედრა, ნუ მომკლავო.

ნუ მომკლავ დარეჯანისძევ,
ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა,
თაკლაი ოქროიანი.
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო,
სახელად ყამარ ჰქვიანი.
საყამაროსა კაბასა
შვიდი დღე უნდა მზიანი,
შვიდ კვერცხული საპონი,
შვიდმეტი კოკა წყლიანი
წასვლა ადვილი იქნება,
მოსვლა გახდება გვიანი;
მოუყვარული ხარ ომისა,
გზა იქ გექნება მტრიანი...
თან შიკრიკს გამოგაყოლებ,
ბაყია ღალატიანი.

ამირანს უნდოდა ისევ ცოცხალი გაეშო ბაყბაყ-დევი, მაგრამ ძმებმა უთხრეს, რომ თუ არ მოჰკლავ, ცუდს საქმეს გიზამს, დევი არ დაიზავებაო. ბაყბაყ-დევი სამ-თავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს. ორი თავი მოსჭრა და მესამესაც რომ დაუწყო ჭრა, ბაყბაყ-დევმა სთხოვა:

— ხომ მკლავ და მკლავ და ჩემი თხოვნა არ შეისმინე, ეს მაინც ამისრულე: ჩემის თავებიდგან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დაჰხოცავო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. ბაყბაყ-დევის თავებიდამ მართლა სამი ჭია ამოძვრა. უსიპმა უთხრა ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდამ, ძმაო ამირან: ბარემ მეორეც თან გააყოლე. ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრნენ დევის თავებიდამ, მოდი ეგენიც დახოცეო!

— რას ამბობო, უპასუხა ამირანმა: დევმა რა მიყო, ჭიები რას მიზამენო; ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო. ეს ერთი თხოვნა ხომ შენ აგისრულე, ერთიც დევისათვის ამისრულებიაო. არ დახოცა ჭიები, გაანება თავი.

— მაშ რაც იმ ჭიებმა გიყონ, მე უბრალო ვიყოვო, მოიხადა ბრალი უსიპმა.

რაკი ბაყბაყ დევი მოკლეს და მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყალყანის მოცემულს შიკრიკს: „აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა, ყამარისკე საველიო; აჩქარდი, ფეხი აიჩქარეო“. გაუძღვა წინ შიკრიკი, ატარა ბევრი. იარეს მრავალი დღე და ღამე, მაგრამ შიკრიკს ერთს გზაზე რომ გაეტარებინა ძმები, დააბრუნებდა სხვა გზით და იმაზედვე წაიყვანდა. უნდოდა იმათთვის გზის არევა და მათი დახოცვა. უსიპმა შეატყო შიკრიკს ღალატი და გავის ერთს კუნძს ისარი დაჰკრა. მართლაც მეორე დღეს შიკრიკმა იმაზედვე გაატარა. უსიპმა თავის ისარი და ნაისრალი დაინახა, აემღვრა სისხლი, გაუშვირა ხელი ამირანს ნაისრალ კუნძისაკე და უთხრა:

ვერ გაიგია, ამირან,
არ გამარჯვების ნიშანი;
მესამედ იქვე მოვედით,
გუშინ რო დავკარ ისარი!

ამირანი გაჯავრდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო, გზანი გაიხვენ,
თუ არ ხარ თავის მისანი,
თორო აგიღე, გაგთალე;
რო საკიდობნე ფიცარი!

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთს ტრიალს მინდორზედ. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამნი ჭიანი, ბაყბაყის დევის თავებიდგან რომ ამოცოცდნენ, ვეშაპებადა ქცეულიყვნენ. ერთი თეთრი იყო, ერთი წითელი და ერთიც შავი. მინდორში მიდიან და მიიმღერიან.

მინდორში სამნი ჭიანი
მიდიან, მიიმღერიან,
თვალს უცემს დარეჯანისძე,
მაგათთან ომი მწადიან.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქუთაისის თავად-აზნაურთ სათავადო-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით ქვემო აღნიშნულს რიცხვებში ბანკის გამგეობის საკუთრებაში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახდელთ შეუტანლობის გამო.

გასყიდვა მოისმობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე-19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნის ფულიდამ ზედ დამატებით სხვადა სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და საზოგადოდ ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სასარგებლოდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივის ვალის თავნის მოსმობა შეიძლება აგრეთვე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე. ხოლო ვადაზე გადასახდელი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურთ, მათ შეუძლიანთ გასასყიდელთ მამულთა აღწერილობისა და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების მე-24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 29 დეკემბერს 1889 წელსა.

## ვაჭრობა 14 დეკემბერს 1889 წ.

18 1/12 წლიანი სესხნი

### ქ. ქუთაისს

ვარდანაშვილისა, გიორგი მახარობელის ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15,42 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 253 მან. 6 კ. შეს. გარდ. 60 მან. 8 კ. სულ 313 მ. 14 კ.

დარასველიძისა, მიხეილ ერასტოს ძის: ორპირის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 312 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2697 მ. 62 კ. შეს. გარ. 415 მ. 19 კ. სულ 3112 მ. 81 კ.

თურქიასი, მამუკა კოსტას ძის: ვოგზალის ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 2330 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 4591 მან. 97 კ. შეს. გარ. 831 მ. 93 კ. სულ 5423 მ. 90 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები სარდაფით და მიწა 103 1/2 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 1307 მ. 17 კ. შეს. გარდ. 229 მ. 54 კ. სულ 1536 მ. 71 კ.

შამირანოვისა, იოსებ ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 421 მ. 74 კ. შეს. გარდ. 80 მ. 52 კ. სულ 502 მ. 26 კ.

დიასამიძეთა, ნესტორ და სამსონ მიხეილის ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 20 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1359 მან. 31 კაპ. შეს. გარ. 222 მან. სულ 1581 მან. 31 კაპ.

მიქელაძისა, ეკატერინა კონსტანტინეს ასულისა: ორპირის ქუჩაზე მიწა 442 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 815 მან. 45 კაპ. შეს. გარ. 157 მ. 14 კაპ. სულ 972 მან. 59 კაპ.

აღიბეგოვთა, ალექსანდრე, იოსებ და ივანე ხუთისოვარის ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 14 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 677 მან. 1 კაპ. შეს. გარ. 103 მან. 60 კაპ. სულ 780 მ. 61 კაპ.

გოგიჩაძისა, სიმონ დიმიტრის ძის: ინგლისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 434 მ. 97 კ. შეს. გარ. 74 მან. 86 კაპ. სულ 509 მან. 83 კაპ.

ქუთათელაძეთა, კლემენტი პეტრეს ძის და მეუღლისა მისისა ეკატერინესი: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 200 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 967 მ. 19 კაპ. შეს. გარ. 169 მან. სულ 1136 მან. 19 კაპ.

მურადოვისა, თომა პავლეს ძის: ბალახვანის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 54 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 725 მ. 15 კ. შეს. გარ. 108 მან. 90 კაპ. სულ 834 მან. 5 კაპ.

ზაიცევისა, ევლამპია და ელისაბედისა: ორპირის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 870 მან. 33 კაპ. შეს. გარდ. 102 მან. 40 კაპ. სულ 972 მ. 73 კ.

აღიბეგოვთა, იოსებ, ალექსანდრე და ივანე ხუთისოვარის ძეთა: ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1270 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 615 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 93 მან. სულ 708 მან. 77 კაპ.

მემკვიდრეთა ალხაზოვისა, ივანე კაციას ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 334 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1517 მან. 3 კაპ. შეს გარდ. 155 მან. 60 კაპ. სულ 1672 მან. 63 კაპ.

რუხაძისა, კესარია ათანასის ასულის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 89 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 729 მ. 50 კ. შეს. გარდ. 95 მან. 24 კაპ. სულ 824 მან. 74 კაპ.

დოდობერიძისა, ნიკოლოზ ზაალის ძის, გადასული ეკატერინე დოლობერიძეზედ: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 213 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1709 მან. 60 კაპ. შეს. გარდ. 166 მან. სულ 1875 მან. 60 კაპ.

მემკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოზ ენოქის ძის: ქარვანსარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები, სარდაფით და მიწა 36 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 6838 მან. 20 კაპ. შეს. გარდ. 867 მან. სულ 7705 მან. 20 კაპ.

ზურგელისა, ნატალია მოსეს ასულის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და მიწა 198 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1763 მან. 6 კაპ. შეს. გარდ. 166 მან. სულ 1929 მან. 6 კაპ.

მემკვიდრეთა იოსელიანისა, გიორგი ზურაბის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 440 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 3646 მან. 89 კაპ. შეს. გარდ. 346 მან. 20 კაპ. სულ 3993 მან. 9 კაპ.

ქალანთაროვისა, დავით კარაპეტის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 298 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1139 მ. 70 კ. შეს. გარდ. 179 მ. 42 კ. სულ. 1319 მან. 12 კაპ.

რუხვაძისა, ვასილი ბუქუას ძის, და ახობაძისა, სტეფანე ანდრიას ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიან ქვითკირის დუქნები და მიწა 91 1/2 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1481 მ. 56 კ. შეს. გარდ. 180 მ. 64 კ. სულ 1662 მ. 24 კ.

მესხისა, მიხარბეგ ფირანის ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ცალ-სართულიანი სახლი სარდაფით და მიწა 189 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1709 მ. 54 კ. შეს. გარდ. 254 მ. 93 კ. სულ 1969 მ. 47 კ.

მატარაძეთა, მიხეილ, ივანე და იოსებ დიმიტრის ძეთა: სილაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 138 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 683 მ. 77 კ. შეს. გარდ. 70 მ. 60 კ. სულ 754 მ. 37 კ.

ფიჩხაძისა, მამაჯან ისრაელის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქანი და მიწა 9 ოთხ-კუთხი საჟ. 1 ალაბი. თავნი ვალი 2735 მ. 35 კ. შეს. გარდ. 395 მ. 80 კ. სულ 3131 მ. 15 კ.

ხურციძისა, თედორე ვახუშტის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი, დუქნები და მიწა 860 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 284 მ. 75 კ. შეს. გარდ. 36 მ. 86 კ. სულ 321 მ. 61 კ.

ხუნჯუასი, ნიკო გიორგის ძის: არტილლერიის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1473 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2051 მ. 42 კ. შეს. გარდ. 327 მ. 5 კაპ. სულ 2378 მ. 47 კ.

ჩარკვიანისა, გიორგი ოქროპირის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი სახლი, ერთ ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი, და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 355 მ. 88 კ. შეს. გარდ. 73 მ. 51 კ. სულ 529 მ. 39 კ.

მემკვიდრეთა ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონის ასულის: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურისა ორი ხის სახლი და მიწა 8006 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 683 მ. 79 კ. შეს. გარდ. 93 მ. სულ 776 მ. 79 კ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 2516 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1424 მ. 58 კაპ. შეს. გარდ. 139 მ. 50 კ. სულ 1564 მან. 08 კაპ.

კრისთვისა, კონსტანტინე სიმონის ძის: ტფილისის ქუჩაზე ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1200 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 9090 მ. 37 კ. შეს. გარდ. 1536 მ. 34 კ. სულ 10626 მ. 71 კ.

ალავიძეთა, ნიკოლოზ და ნოშრევან ოქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 224 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 716 მ. 32 კ. შეს. გარდ. 101 მ. 96 კ. სულ 818 მან. 28 კ.

ბინიაურიშვილთა, არონ, დავით, ისხაკა და მიხეილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2029 მან. 65 კაპ. შეს. გარდ. 261 მან. 24 კ. სულ 2290 39 კაპ.

ბაინდუროვისა, ივანე სიმონის ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 18 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 775 მ. 99 კ. შეს. გარდ. 75 მ. 90 კ. სულ 851 მ. 89 კაპ.

მემკვიდრეთა გურამისა, ნიკო გლახუას ძის გადასული სოლომონ წერეთელზე: ალექსანდრეს სლობოდის მეორე ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 279 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 477 მან. 53 კაპ. შეს. გარდ. 49 მ. 40 კ. სულ 526 მან. 93 კ.

გაბუნიასი, მიხეილ ბექანის ძის, და ძაგანიასი, ოთარა დუტუს ძის: გეგუთის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი—ერთი ქვითკირისა და მეორე ხისა და მიწა 103 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 596 მან. 95 კაპ. შეს. გარდ. 93 მან. 4 კაპ. სულ 689 მან. 99 კაპ.

გზიაგოვისა, [illegible] სიმონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 44 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1432 მან. 59 კაპ. შეს. გარდ. 179 მან. სულ 1611 მან. 59 კაპ.

ყაუხჩევისა, ნინო გიორგის ასულის: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 264 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1790 მან. 80 კაპ. შეს. გარდ. 289 მან. 94 კაპ. სულ 2080 მან. 74 კაპ.

მაჩიტაძისა, ტერენტი გიორგის ძის: რიონის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 353 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 596 მან. 98 კაპ. შეს. გარდ. 60 მან. სულ 656 მ. 98 კ.

მარჯანოვისა, კონსტანტინე ანდრიას ძის: არქიელის გორაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და მიწა 1800 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1611 მან. 78 კაპ. შეს. გარდ. 200 მან. 50 კაპ. სულ 1812 მან. 28 კაპ.

შაშუაშვილისა, შალომა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჟ. 5 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2507 მან. 11 კაპ. შეს. გარდ. 308 მან. სულ 2815 მან. 11 კაპ.

ბუზიაშვილთა, არონ იაკობის ძის, შამიელ, მიხეილ და რაფაელ ისხაკას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 15 ოთხ-კუთხი საჟ. და 5 ოთხ-კუთხი ალაბი. თავნი ვალი 2493 მან. 5 კ. შეს. გარდ. 393 მან. 52 კაპ. სულ 2816 მან. 57 კაპ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 72 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1869 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 271 მან. 28 კაპ. სულ 2141 მან. 3 კაპ.

ქვარიანისა, კონსტანტინე ანანიას ძის: მიხეილისა და ბაზრის ქუჩებს შუა ორ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 19 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2493 მან. 2 კაპ. შეს. გარდ. 286 მან. 20 კაპ. სულ 2779 მან. 22 კაპ.

მემკვიდრეთა ქებაძისა, სოლომონ გრიგოლის ძის გადასული ნატალია აბაშიძეზე: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 203 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2119 მან. 4 კაპ. შეს. გარდ. 187 მან. 20 კაპ. სულ 2306 მან. 24 კაპ.

განდელაკისა, ბესარიონ ოქროპირის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2493 მან. 5 კაპ. შეს. გარდ. 308 მან. 70 კაპ. სულ 2801 მან. 75 კაპ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოზის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 8826 მან. 15 კაპ. შეს. გარდ. 1141 მან. სულ 9967 მან. 15 კაპ.

უტუროვისა, მარიამ ალექსის ასულის: მიხეილის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 128,5 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1172 მან. 53 კაპ. შეს. გარდ. 129 მან 28 კაპ. სულ 1301 მან. 81 კ.

ჩარკვიანისა, ეკატერინე ანდრიას ასულის: მთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 423 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 498 მან. 66 კაპ. შეს. გარდ. 49 მან. 40 კაპ. სულ 548 მან. 6 კაპ.

ჩქედასი, პეტრე დავითის ძის: ლევაშოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 373 მან. 88 კაპ. შეს. გარდ. 60 მან. 8 კაპ. სულ 433 მან. 96 კაპ.

შავგულიძისა, იოსებ შაქარას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 227 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2243 მან. 70 კაპ. შეს. გარდ. 257 მან. 16 კ. სულ 2500 მ. 86 კაპ.

აბულაძისა, დავით გიორგის ძის: სილაზე ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 157 1/2 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 454 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 66 მან. 50 კაპ. სულ 520 მან. 70 კ.

მიხაილოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 50 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 788 მან. 44 კ. შეს. გარდ. 80 მან. 77 კაპ. სულ 869 მან. 21 კაპ.

ჯიმშეროვისა, დომინიკა ნიკოლოზის ასულისა. გიმნაზიის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი—ერთი ორ-სართულიანი და მეორე ერთ-სართულიანი და მიწა 241 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 7657 მან. 61 კაპ. შეს. გარდ. 943 მან. 25 კაპ. სულ 8600 მან. 86 კაპ.

გაბაევისა, ბესარიონ ალექსის ძის: გორას ქვეშეთის ქუჩაზე ორი ქვითკირის სახლი და მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2335 მან. 63 კაპ. შეს. გარდ. 306 მან. 24 კაპ. სულ 2641 მან. 87 კაპ.

გაბაევისა, ისიდორე გიორგის ძის: ლაზარეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1946 მან. 45 კაპ. შეს. გარდ. 207 მან. 44 კაპ. სულ 2153 მან. 89 კაპ.

დგებუაძისა, ნიკოლოზ ფირანის ძის: ტფილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 190 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2595 მან. 17 კაპ. შეს. გარდ. 286 მან. 20 კაპ. სულ 2881 მან. 37 კ.

ჯანოშვილისა, პავლე ივანეს ძის: მიხეილის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 434 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 5060 მან. 48 კაპ. შეს. გარდ. 529 მან. 4 კაპ. სულ 5589 მან. 52 კაპ.

ისაევისა, მიხეილ პეტრეს ძის: უსახელო ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 254 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1037 მან. 98 კაპ. შეს. გარდ. 119 მან. 80 კაპ. სულ 1157 მან. 78 კაპ.

მდივნისა, ბესარიონ მიხარბეგის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ სართულიანი სახლი და მიწა 1575 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1622 მან. 3 კაპ. შეს. გარდ. 195 მან. 50 კაპ. სულ 1817 მან. 53 კაპ.

ფიჩხაძისა, შამუელა და მანუახა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 63 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1297 მან. 63 კაპ. შეს. გარ. 143 მან. სულ 1440 მან 63 კაპ.

სათვაროვისა, სალომე სიმონის ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 60 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1362 მან. 46 კაპ. შეს. გარდ. 232 მან. 54 კაპ. სულ 1595 მან.

ციციშვილისა, მიხეილ აბრამის ძის: გაგარინის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 40 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2595 მან. 18 კაპ. შეს. გარდ. 292 მან. 92 კ. 2888 მან. 10 კაპ.

ცულეისკირისა, პეტრე ბასილის ძის: ალექსანდრეს და ტფილისის ქუჩებს შუა ორი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 237 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 3892 მან. 75 კაპ. შეს. გარდ. 325 მან. სულ 4217 მან. 75 კაპ.

მისივე: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 7 1/2 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1167 მან. 71 კაპ. შეს. გარდ. 102 მან. 40 კაპ. სულ 1270 მან. 11 კ.

ჩარექოვისა, პეტრე იოსების ძის, გადასული სტანისლავა ჩარახჩიანოვზე: ქარავანსარაიის ქუჩაზე ორ-სართუ-

ლიანი ქვითკირის სახლი და მიწა 148 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 3243 მან. 85 კაპ. შეს. გარდ. 272 მან. სულ 3515 მან. 85 კ.

ჩირკვიანთა, ალექსი და გიოგრი სპირიდონის ძეთა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 526 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1180 მან. 17 კაპ. შეს. გარდ 136 მან. სულ 1316 მან. 17 კაპ.

შაჯგუღიძეთა, პავლე და ლევან გიორგის ძეთა, და დიმიტრი გრიგოლის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 215 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 973 მან. 11 კაპ. შეს. გარდ. 114 მან. 50 კაპ. სულ 1087 მან. 61 კაპ.

შაჯგუღიძისა, თედორე სიმონის ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 395 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 259 მან. 51 კაპ. შეს. გარდ. 50 მან. 60 კაპ. სულ 310 მან. 11 კაპ.

აბულაძისა, ნიკოლოოზ გიორგის ძის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 250 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5388 მან. 61 კაპ. შეს. გარდ. 763 მან. 85 კ. სულ 6152 მან. 46 კაპ.

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: თბილისის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 105 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2424 მან. 90 კაპ. შეს. გარდ. 298 მან. 60 კაპ. სულ 2723 მან. 50 კ.

ადლერსი, ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის: თბილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1317 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5388 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 431 მან. სულ 5819 მან. 61 კ.

ბებურიშვილისა, გიორგი გურგენის ძის: თბილისისა და მიხეილის ქუჩებს შუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 296 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 14751 მან. 44 კ. შეს. გარდ. 1391 მან. 70 კაპ. სულ 16143 მან.

ზინიაურიშვილისა, აბრამ მოშას ძის: გელათის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა $77^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1212 მან. 40 კაპ. შეს. გარდ. 147 მან. 82 კაპ. სულ 1360 მან. 22 კაპ.

დამბაშიძისა, ესტატე ბესარიონის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 153,57 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 673 მ. 53 კაპ. შეს. გარდ. 81 მან. 28 კ. სულ 754 მან. 86 კაპ.

დერიუმინისა, გენრიხ ლორენტის ძის: თბილისის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 266 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 3704 მან. 61 კ. შეს. გარდ. 400 მან. 42 კ. სულ 4105 მან. 9 კაპ.

დავითიშვილისა, ისრაილ ელოს ძის: სათავადო ქუჩაზე ორ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 8,3 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2694 მ. 34 კ. შეს. გარდ. 331 მ. სულ 3025 მ. 34 კ.

ზალიკოვისა, ბარბალე ზაქარიას ასულის: ივანოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი სარდაფით და მიწა 840 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1347 მ. 11 კ. შეს. გარდ. 113 მ. სულ 1460 მ. 11 კ.

ქალანთაროვისა, მიხეილ კარაპეტას ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 265 ოთხ კუთხი საჟ. თავენი ვალი 1077 მ. 71 კ. შეს. გარ. 136 მან. 60 კ. სულ 1214 მ. 31 კ.

მატარაძისა, სპირიდონ ანდრიას ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 58 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1684 მ. 6 კ. შეს. გარდ. 150 მ. 34 კ. სულ 1834 მ. 40 კ.

ნიჟარაძისა, ალმასხან დიმიტრის ძის, გადასული ეკატერინე სუმბათოვისაზე: ფრანგების ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 144 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 3031 მ. 17 კაპ. შეს. გარ. 388 მან. 62 კაპ. სულ 3419 მან. 69 კ.

ნიკოლაძისა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძის: ალექსანდრეს სლობოდაში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 197 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 942 მ. 99 კ. შეს. გარდ. 81 მან. 20 კაპ. სულ 1024 მ. 19 კ.

ფხაკაძისა, იაკობ ივანეს ძის: გეგუთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 57 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1684 მ. 4 კ. შეს. გარდ. 186 მ. 54 კ. სულ 1870 მ. 58 კაპ.

ფიჩხაძეთა, მანუახა და შამოელა შაფათას ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 12,7 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2020 მ. 69 კაპ. შეს. გარდ. 243 მ. 36 კ. სულ 2264 მან. 5 კ.

რიჟინაშვილისა, სიფორა ელოს ასულის: ფრანგების ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 71 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 808 მან 27 კ. შეს. გარ. 104 მან 20 კ. სულ 912 მ. 47 კაპ.

რუხაძისა, ლუკა ნიკოლოოზის ძის, და ახვლედიანისა, იასონისა: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 79,5 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 336 მან. 71 კაპ. შეს. გარდ. 54 მან. 78 კაპ. სულ 391 მან. 49 კაპ.

ზაზუკიძისა, სუსანასი: ბალახვანის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა $66^3/_4$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 740 მან. 92 კ. შეს. გარდ. 97 მან. 15 კაპ. სულ 838 მან. 7 კაპ.

ხახანაშვილისა, აბრამ ისრაელის ძის, და ციციშვილისა, ყობო: გელათის ქუჩის შესახვევში ორ სართულიანი სახლი და მიწა 74 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 808 მან. 28 კაპ. შეს. გარდ. 91 მან. 83 კაპ. სულ 900 მ. 11 კაპ.

ხახანაშვილისა, შამუელა აბრამის ძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 3 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 606 მან. 20 კაპ. შეხ. გარდ. 74 მან. 86 კაპ. სულ 681 მან. 6 კაპ.

შავლაძისა, ევდოკია, და კანდელაკისა, ივლიტა: ტაიგელის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1300 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2694 მან. 34 კაპ. შეს. გარდ. 277 მან. 82 კაპ. სულ 2972 მან. 16 კ.

აბულოვისა, მიხეილ ბესარიონის ძის: კნიაზის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $8^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1046 მან. 45 კაპ. შეს. გარ. 86 მან 50 კ. სულ 1132 მან. 95 კაპ.

გორგიძისა, ივანე გიორგის ძის: მესხეთის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 98 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 488 მან. 46 კაპ. შეს. გარდ. 65 მან. 38 კაპ. სულ 552 მან. 84 კაპ.

გალაშვკსისა, ოლგა იაკობის ასულის ბალახვანის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 124 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 697 მ. 65 კ. შეს. გარ. 39 მ. 89 კ. სულ 737 მან. 54 კაპ.

ქუთათელაძისა, ოლგა გრიგოლის ასულის: გეგუთის ქუჩის შესახვევში ერთ სართულიანი ხის სახლი და მიწა 220 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1395 მ. 30 კ. შეს. გარდ. 163 მ. 40 კ. სულ 1558 მ. 70 კ.

კოკოჩოვისა, მარიამ სტეფანეს ასულის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი სარდაფით და მიწა 84 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1395 მ. 30 კ. შეს. გარდ. 157 მ. 80 კ. სულ 1553 მ. 10 კ.

კუჩუკსკისა, ელენე იოსების ასულის: ბალახვანის ქუჩაზე ორი ერთ-სართულიანი სახლი ქვითკირისა და ხისა და მიწა 87 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 837 მ. 17 კ. შეს. გარდ. 105 მ. 2 კ. სულ 942 მ. 19 კ.

სერჩენკოსი, კუზმა პროკოფის ძის, გადასული მიხეილ შნეიდერზე: მეორე ქუჩაზე ალექსანდრეს სლობოდაში, სამი ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 205 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2092 მ. 94 კ. შეს. გარდ. 222 მ. სულ 2314 მ. 94 კ.

თუმანოვთა, პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა: მახლობლად ქუთაისის რკინის გზის სადგურთა სამი ქვითკირის სახლი, ერთი ორ-სართულიანი და ორი ერთ-სართულიანი, და მიწა 7334 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 20929 მ. 49 კ. შეს. გარდ. 2717 მ. სულ 23646 მ. 49 კ.

ხითაროვისა, პეტრე ივანეს ძის: ნემეცის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $22^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 907 მან. შეს. გარდ. 109 მ. 50 კ. სულ 1016 მ. 50 კ.

წურინოვისა, გლახუა გრიგოლის ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 75 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 697 მ. 71 კ. შეს. გარდ. 75 მ. 68 კ. სულ 773 მ. 39 კაპ.

ჭოდოშვილისა, ალექსანდრე ბეჟანის ძის: სილაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 462 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1395 მ. 33 კ. შეს. გარ. 157 მ. 9 კ. სულ 1552 მან. 42 კაპ.

ჩხეტიასი, მინა ივანეს ძის, და გვანცალაძისა, კონსტანტინე სტეფანის ძის: თურმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 147 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 697 მ. 65 კ. შეს. გარდ. 60 მან. სულ 757 მ. 65 კაპ.

ასათიანისა, ლუკა ნიკოლოოზის ძის: გოშპიტლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 310 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5047 მ. 10 კ. შეს. გარდ. 571 მ. 17 კ. სულ 5618 მ. 27 კ.

ასათიანისა, კირილე გიორგის ძის: წულუკიძის შესახვევში ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 59 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1297 მ. 81 კ. შეს. გარდ. 127 მან. 4 კ. სულ 1424 მ. 85 კ.

ჯანელიძისა, ბახვა გრიგოლის ძის, გადასული ნიკოლოოზ ჩიკვაიძეზე: გეგუთის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 151 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1802 მ. 58 კაპ. შეს. გარდ. 184 მან. 30 კაპ. სულ 1986 მან. 88 კაპ.

ჯანგავაძისა, ექვთიმე ეგნატეს ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 28 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 288 მან. 37 კაპ. შეს. გარდ 43 მან. 88 კაპ. სულ 332 მან. 25 კაპ.

ერისთვისა, დავით გრიგოლის ძის: ნემეცის ქუჩის შესახვევში ორი სახლი, ერთი ქვითკირისა ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი ხისა და მიწა 357 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 2884 მან. 4 კაპ. შეს. გარდ. 292 მან. 83 კაპ. სულ 3176 მან. 87 კაპ.

ქორქაშვილისა, ლუკა დავითის ძის: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 774 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 8652 მან. 23 კაპ. შეს. გარდ. 867 მან. სულ 9519 მან. 23 კაპ.

ქვარიანისა, კონსტანტინე ანანიას ძის: ქვარიანის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 1578 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2163 მან. 5 კაპ. შეს. გარდ. 293 მან. 7 კაპ. სულ 2456 მან. 12 კაპ.

კაუხჩევისა, ივანე იოსების ძის: გიმნაზიის და მიხეილის ქუჩებშუა ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 658 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 14,420 მან. 30 კაპ. შეს. გარდ. 1701 მან. 90 კაპ. სულ 16122 მან. 20 კაპ.

მღებროვისა, გიორგი ბადურას ძის: პოლიციის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი ხის სახლი $493^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1442 მან. 4 კაპ. შეს. გარ. 113 მან. სულ 1555 მან. 4 კაპ.

მემკვიდრეთა ნიჟარაძისა, ერმოლოოზ ოტიას ძის: გეგუთის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 319 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 7210 მან. 20 კაპ. შეს. გარ. 1155 მან. 33 კაპ. სულ 8365 მან. 53 კ.

ოვანეზოვისა, პეტრე ივანეს ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 81 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 504 მან. 77 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 38 კაპ. სულ 570 მან. 15 კაპ.

რუხაძისა, კესარია ათანასეს ასულის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 243 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 576 მ. 81 კაპ. შეს. გარ. 49 მან. 40 კაპ., სულ 626 მან. 21 კაპ.

რუხვაძისა, ვასილ სიმონის ძის: თურმანიძის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 69 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 648 მან. 93 კაპ. შეს. გარ. 54 მან. 70 კაპ., სულ 703 მან. 63 კაპ.

თუმანოვთა, პავლე და ლევან ალექსანდრეს ძეთა: ალექსანდრეს ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 252 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5768 მან. 11 კაპ. შეს. გარ. 579 მან. 96 კაპ. სულ 6348 მან. 7 კ.

მათივე და აკოფოვისა, სტეფანესი: ქარვან-სარაის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 172 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 8652 მან. 15 კაპ. შეს. გარ. 643 მან. სულ 9295 მან. 15 კაპ.

თურქიასი, მამუკა კონსტანტინეს ძის: ვოგზლის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 211 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 7210 მან. 15 კაპ. შეს. გარ. 817 მან., სულ 8027 მან. 15 კაპ.

შამაევისა, მართა ტერ-გრიგოლის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 158 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 937 მან. 39 კაპ. შეს. გარ. 126 მ. 44 კაპ. სულ 1063 მან. 83 კაპ.

გაბრეკელოვისა, გრიგოლ გიორგის ძისა: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა $281^7/_8$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 5979 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 425 მან. 65 კაპ. სულ 6405 მან. 30 კ

ბაქრაძისა, გიორგი დავითის ძისა: ალექსანდრეს ქუჩაზე ერთ-სართულიანი სახლი და მიწა 304,8 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1733 მან. 22 კაპ. შეს. გარ. 141 მან., სულ 1874 მ. 22 კაპ.

ლორთქიფანიძისა, ანტონ ნიკოლოოზის ძისა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 306 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1039 მან. 93 კაპ. შეს. გარ. 104 მან. 20 კაპ. სულ 1144 მან. 13 კაპ.

მიქაბერიძისა, მინადორა ნიკოლოოზის ასულისა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 527 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 693 მან. 29 კაპ. შეს. გარ. 69 მან. 56 კაპ. სულ 762 მან. 85 კაპ.

პროკასა, ნიკოლოოზ ივანეს ძისა, გადასული ივანე ბაინდუროვზე, ალექსანდრე მიხაილოვზე და პოლიევქტო გლუკოვზე: მიხაილოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მაღაზიები 377 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 12833 მან. 40 კაპ. შეს. გარ. 775 მან. 50 კაპ. სულ 13608 მან. 90 კაპ.

მეგრელიძისა, სარიონ ივანეს ძისა: უსახელო ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 176 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 265 მან. 52 კაპ. შეს. გარ. 36 მან. 34 კაპ. სულ 301 მან. 86 კაპ.

მელიასა, სპირიდონ გაბრიელის ძისა: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 265 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2690 49 კაპ. შეს. გარ. 205 მან. 20 კაპ. სულ 2895 მან. 69 კაპ.

წულუკიძეთა, ანტონ, სიმონ, ალექსანდრე, ნესტორ, დავით და ვარდენ გრიგოლის ძეთა: ორპირის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვირკირის სახლი და მიწა 153 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 2655 მან. 19 კაპ. შეს. გარ. 252 მან. 24 კაპ. სულ 2907 მან. 43 კაპ.

მემკვიდრეთა ჭიჭინაძისა, მიხეილ ოსიპის ძისა: ივანოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 374 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 4868 მან. 18 კაპ. შეს. გარ. 189 მან. 36 კაპ. სულ 5057 მან. 54 მან.

მირიანოვისა, ზაქარია ანტონის ძისა: ადვოკატის ქუჩაზე ორ-სართულიანი სახლი და მიწა 70 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1625 მან. 36 კ. შეს. გარდ. 138 მან. 60 კაპ. სულ 1763 მან. 96 კაპ.

მემკვიდრე ნიკოლაძისა, ივანე მათეს ძისა: გიმნაზიის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 216 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 11738 მან. 66 კაპ. შეს. გარდ. 999 მან. 52 კაპ. სულ 12738 მან. 18 კ.

ნაკაშიძისა, ბარბარე სოლომონის ასულისა: ტფილისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 1314 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 26186 მან. 24 კაპ. შეს. გარდ. 2303 მან. 90 კაპ. სულ 28490 მან. 14 კაპ.

რიჟინაშვილისა, ყობო ისხაკის ძისა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-სართულიანი დუქანი და მიწა 8 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 722 მან. 38 კაპ. შეს. გარდ. 78 მან. 5 კაპ. სულ 800 მან. 43 კაპ.

მისივე, მიხეილოვის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა $21^1/_4$ ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 1805 მან. 94 კაპ. შეს. გარდ. 182 მან. 58 კაპ. სულ 1988 მან. 52 კაპ.

როინიშვილისა, ეკატერინა ივანეს ასულისა: ლევაშოვის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავენი ვალი 4063 მან. 39 კაპ. შეს გარდ. 377 მან. 50 კაპ. სულ 4440 მან. 89 კაპ.

ერისთვისა, ანასტასია ალექსის ასულისა: ინგლისის ქუჩაზე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა 430 ოთხ-კუთხი საჟ თავენი ვალი 7223 მან. 79 კაპ. შეს. გარდ. 811 მან. 13 კაპ. სულ 8034 მან. 92 კაპ.